

საიდ. N83048/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N59-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კველიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბევერიჯ მარკეტინგ იუ ეს ეი, ინკ.“ (Beverage marketing USA, Inc.) N59-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 4 მარტის N444/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე და 32-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 4 მარტის N444/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, ვინაიდან ნიშანი შედგება მხოლოდ გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნისაგან. არიზონა არის შტატი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. განცხადებული ნიშანი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ნაწილისაგან და მას თან არ ახლავს რაიმე განმასხვავებელი ელემენტი. აღწერილობით ნიშანს არ შესწევს უნარი შეასრულოს სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქცია, კერძოდ განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი, კომპანია „ბევერიჯ მარკეტინგ იუ ეს ეი, ინკ.“ (Beverage marketing USA, Inc.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის პოზიციით, მოქმედ საკანონმდებლო აქტებში არ არის განმარტებული თუ რა შემთხვევაში ითვლება განცხადებული სიმბოლო არაგანმასხვავებელუნარიანად. ასეთ ნორმას შეიცავდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“ (თავი მე-3, პუნქტი პირველი, „ბ“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც, „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიმბოლო შესაბამისი საქონლის მიმართ არ არის განმასხვავებელუნარიანი, თუ იგი შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან

საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან შეიძლება მიჩნეული იქნეს ასეთად; ან საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარეობითი ცნება; ან წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს ან ტერმინს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია“. დღეს მოქმედ ინსტრუქციაში ეს თავი მთლიანად ამოღებულია.

აპელანტის მითითებით, დაუსაბუთებელია ექსპერტიზის გადაწყვეტილება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ARIZONA“ არაგანმასხვავებელუნარიანია 30-ე და 32-ე კლასების განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რადგან ეს აღნიშვნა არ წარმოადგენს ამ საქონლის საყოველთაოდ გავრცელებულ დასახელებას და ასევე, არ მიანიშნებს მის წონაზე, მოცულობაზე, კალორიულობაზე და სხვა ისეთ მახასიათებლებზე, რომელიც იგულისხმება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში. აპელანტის პოზიციით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია ექსპერტიზის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძვლით.

აპელანტის განმარტებით, ექსპერტის მსჯელობის თანახმად, გეოგრაფიული აღნიშვნა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებული და დაცული იყოს სასაქონლო ნიშნად. აპელანტის მითითებით, აღნიშნული პოზიცია მცდარია და ეწინააღმდეგება არსებულ პრაქტიკას. აპელანტის პოზიციით, არსებობს მრავალი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, მათ შორის საქართველოში, რომლებიც შედგება მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული ერთეულის დასახელებისაგან, გეოგრაფიული აღნიშვნისაგან. გეოგრაფიულ აღნიშვნაზე განსაკუთრებული უფლება არ ენიჭება რომელიმე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გეოგრაფიული აღნიშვნა საყოველთაოდ ცნობილია განცხადებულ საქონელთან მიმართებაში. მაგალითად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება აღნიშვნა „პარიზი“ - სუნამოებისათვის, „მილანი“ - ტანსაცმლისათვის, „ჰავანა“ - სიგარეტებისათვის. თუმცა,

სასაქონლო ნიშნად დაცულია კუნძულის დასახელება „ფიჯი“ (Fiji) სუნამოებისათვის, რადგან ის არ არის ცნობილი, როგორც ადგილი, სადაც აწარმოებენ სუნამოს. აპელანტის განმარტებით, ექსპერტის მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ეთქვა განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველით. გადაწყვეტილებაში არ არის მოყვანილი რაიმე მონაცემი იმის შესახებ, რომ აშშ-ს შტატი „ARIZONA“ საყოველთაოდ ცნობილია, როგორც 30-ე და 32-ე კლასებით განცხადებული სასმელების წარმოების ადგილი. აპელანტის პოზიციით, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტმა არასწორად გამოიყენა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები. შესაბამისად, ექსპერტიზის გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს 30-ე და 32-ე კლასების განცხადებული საქონლისათვის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს ან ტერმინს ან განცხადებული საქონლის ჩამონათვალის რომელიმე მახასიათებლის აღმნიშვნელ სიმბოლოს. განცხადებული ნიშანი, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი შტატის დასახელებას, მაგრამ ის არ არის საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის დასახელება, ვინაიდან, სავარაუდოდ, განცხადებული საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილია განმცხადებლის ადგილმდებარეობა - ნიუ-იორკის შტატი, ქალაქი ვუდბერი. აპელანტის მითითებით, ქართველი მომხმარებელი, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს საქონლის წარმოშობის ქვეყანაზე, მოცემულ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებზე და არა რომელიმე კონკრეტულ შტატსა ან ქალაქზე.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განცხადებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი 30-ე და 32-ე კლასების საქონლისათვის დაცულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: აშშ (რეგ № 4462343; რეგ №4304481; რეგ №2242311; რეგ

№2241415), ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (სერ. №011486552; სერ. №010464261), კანადა (TMA 471587; TMA 469695), შვეიცარია (P-436307), დანია (VR 2006 02324), დიდი ბრიტანეთი (UK 00002404114), საბერძნეთი (F119586), თურქეთი (22776), ბრაზილია (822086751), ისრაელი (სერ. № IDM 00041655; IDM000134587; IDM 000078703), მექსიკა (რეგ. № 538924; რეგ. № 7903; რეგ. № 553352128), სინგაპური (T0716332 E). აპელანტის პოზიციით, მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყებამ სასაქონლო ნიშნად დაარეგისტრირა სიტყვიერი ელემენტის „ARIZONA“ შემცველი რამდენიმე სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი და ამასთან, მხოლოდ სიტყვას „ARIZONA“ მიანიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა (№2445642, №4191828, №3698997).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 4 მარტის N444/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე და 32-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №59-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების,

გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) 30-ე და 32-ე კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ARIZONA“ სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. ნიშანი შედგება მხოლოდ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მიმანიშნებელი სიმბოლოსაგან, ვინაიდან არიზონა არის ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე შტატი, რომელიც კარგად არის ცნობილი ქართველი მომხმარებლისათვის. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას 30-ე და 32-ე კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და ვერ განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას სხვა საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან. ამასთან, აპელანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, განცხადებული ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ არიზონა არ არის ცნობილი ცივი ჩაის წარმოებით, 30-ე და 32-ე კლასის განცხადებული საქონელი შეიძლება იწარმოებოდეს ზემოაღნიშნულ შტატში. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება განცხადებულ ნიშანს ვერ სძენს განმასხვავებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „ARIZONA“ (საიდ. N83048/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბევერიჯ მარკეტინგ იუ ეს ეი, ინკ.“ (Beverage marketing USA, Inc.) სააპელაციო საჩივარი (N59-03/16) არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 4 მარტის N444/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრაელიძე